პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისაკენ, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 20 აპრილი, 1952 წ. № 95 (9255). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ამხანაგ ბოლესლავ ბერუტისადმი (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ნ. შვერნიკის მისასალმებელი დეპეშა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ამხანაგ ბ. ბერუტისადმი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

ი. კულუხოვი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 30 წელი (მე-2 გვერდი).

საპოლმეურნეო კადრების ფორმალურად შერჩევის შედეგად (მე-2 გვერდი).

კოლმეურნეოგათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების სადარაჯოზე — „პრავდის“ 19-IV მოწინავე (მე-2 გვერდი).

ბმირები არ კვდებიან (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ისტორიის საგულისხმო გაკვეთილი (მე-3 გვერდი).

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის დაბადების 60 წლისთავი (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საპირველმაისო მოწოდება მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი (მე-4 გვერდი).

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

15 აპრილს მუშაობა დაამთავრა თბილისის XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ. კონფერენციამ ჩაიარა უჩვეულოდ მაღალ პოლიტიკურ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

კონფერენციამ განიხილა საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც 15 თვეს მოიცავდა. ამ პერიოდში საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე. მთელ თავის წარმატებებს საქართველოს მშრომელები უმადლიან ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, ჩვენი გამარჯვებების შთამაგონებელსა და ორგანიზატორს, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თბილისის მშრომელებმა უზრუნველყვეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მიერ სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება.

მაგრამ თბილისის მშრომელთა წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ისევე როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, მუშაობაში, ხელმძღვანელობაში რომ არ ყოფილიყო სერიოზული შეცდომები, ნაკლოვანებანი და ჩავარდნები, სწორად და მთლიანად რომ ყოფილიყო გამოყენებული წარმოების რეზერვები, ბოლშევიკურად გატარებულიყო ლენინისა და სტალინის მითითება მასებთან პარტიულ ხელმძღვანელთა ურღვევი კავშირის შესახებ.

მოპოვებული წარმატებებით დატკბობის, ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების, თვითდამშვიდებისა და პარადული კეთილდღეობის განწყობილების შედეგად, რაც გაბატონებული იყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და თბილისის საქალაქო კომიტეტში, დაშვებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები როგორც პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში, ისე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და მისი მდივნები, კმაყოფილდებოდნენ რა სამრეწველო საწარმოთა წარმატებების საშუალო ციფრებით, ივიწყებდნენ, რომ ქალაქის ბევრი საწარმო სახელმწიფო დავალებას ვერ ასრულებდა, თვით იმ საწარმოებშიც კი, რომლებიც მოწინავედ იყვნენ აღიარებულნი, სამრეწველო ნაწარმის ხარისხი დაბალი იყო და არ შეესაბამებოდა მომხმარებელთა მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა ახალი მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები თბილისში. წინათ აშენებულს აკლდა ჯეროვანი მოვლა, ახალ მშენებლობას უხეათოდ, ცუდად, დაბალხარისხოვნად აწარმოებდნენ. ამის გამო ბევრი ახალი სახლი თუ სხვა ნაგებობა მალე გამოდიოდა წყობიდან, საჭიროებდა სერიოზულ რემონტს, დამატებით სამუშაოებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ყურადღებას არ აქცევდა ჩამორჩენილ საწარმოებსა და მშენებლობებს, არ იღებდა ღონისძიებებს, რათა წამოეწია ისინი მოწინავეთა დონემდე, გაუმჯობესებულიყო სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და შემცირებულიყო მისი თვითღირებულება; ბოლო მოეღო ნაკლოვანებებისათვის ქალაქის მოსახლეობის მომსახურებაში, აღმოეფხვრა საცხოვრებელი სახლებისა და საქალაქო მეურნეობის სხვა ნაგებობათა მშენებლობის გაჭიანურება.

საქალაქო კომიტეტის ბიურო, გატაცებული იყო რა სამეურნეო წარმატებათა საერთო ციფრობრივი მაჩვენებლებით, ივიწყებდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას და ეწეოდა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და სამეურნეო ორგანიზაციების მაგიერობას. ამის შედეგად საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში არ იგრძნობოდა სისხლსავსე ცხოვრება, შესუსტდა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, პარტიულმა გადწყვეტილებებმა დაკარგა სიმახვილე, უხეშად ირღვეოდა პარტიის წესდება.

„ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, — ნათქვამია თბილისის XXI საქალაქო პარტკონფერენციის მისალმებაში ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი, — **ნაკლოვანებანი მეტწილად იმით აიხსნება, რომ პარტიულ ორგანიზაციებში ჯეროვან სიმაღლეზე არ იყო აყვანილი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, სწორად არ იყო იგი შეხამებული სამეურნეო მუშაობასთან, არ იყო დაცული შინაპარტიული დემოკრატია, პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა და, როგორც წესი, პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, არ წარმოებდა ბრძოლა კრიტიკის ჩამხშობთა წინააღმდეგ“.**

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და მისი მდივნები მოწყვეტილი იყვნენ მასებს, იკეტებოდნენ კაბინეტებში. ამან კი ის გამოიწვია, რომ მათ ბიუროკრატიული ჟანგი მოედო და დაკარგეს მშრომელთა ფართო მასების ნდობა. ღია პარტიული კრებები, რომლებიც ხელს უწყობს მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას, უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, თითქმის უარყოფილი იყო და შეცვლილი იყო დახურული კრებებით.

თბილისის საქალაქო კომიტეტის, ისევე როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ხელმძღვანელობამ დაივიწყა ილიჩის ბრძნული მითითება, რომ წარმატებებს აქვთ თავიანთი ჩრდილოვანი მხარეებიც, რომლებიც წარმოშობენ უდარდელობისა და თვითკმაყოფილების განწყობილებას, აჩლუნგებენ პოლიტიკურ ალღოს და აღუნებენ ადამიანებს. ამის შედეგად მათ დაკარგეს უნარი კრიტიკულად მოპყრობოდნენ თავიანთ მუშაობას, იმას, თუ როგორ სრულდებოდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები. სისტემატურად ირღვეოდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ბოლშევიკური პრინციპი. განსაკუთრებით ცუდად იყო გაშლილი კრიტიკა ქვემოდან, პარტიის რიგითი წევრების მხრივ. უფრო მეტიც, ეშვიათი არ იყო ფაქტები იმ ადამიანთა დევნისა, რომლებიც ამხილებდნენ მუშაობის ნაკლოვანებებს. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ კრიტიკის ჩამხშობის როლში გამოდიოდა თვით პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია, აგრეთვე საქალაქო კომიტეტის ზოგიერთი განყოფილების გამგე.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ისეთი ფართო სარბიელიც კი, როგორც საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების პლენუმებია, იშვიათად იწვეოდა და მაშინაც ისინი გამოყენებული იყო „პარადული მანიფესტაციების“, ურთიერთშექების, მლიქვნელობის საშუალებად. სუსტად მიმდინარეობდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, კოოპერაციულ და სავაჭრო ორგანიზაციებში.

პარტიის თბილისის კომიტეტმა დაივიწყა ლენინისა და სტალინის არაერთი მითითება, რომ კადრების სწორად შერჩევა და გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ საფუძველს. საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში არღვევდნენ კადრების შერჩევისა და აღზრდის ბოლშევიკურ პრინციპებს, არ ზრუნავდნენ დასაწინაურებელ რეზერვზე. ამის შედეგად ზოგჯერ პასუხსაგებ თანამდებობებზე გაძრომას ახერხებდნენ უვარგისი და მტრული ელემენტებიც კი, რომლებიც მუშაობას ფუშავდნენ, იტაცებდნენ საზოგადოებრივ ქონებას და ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს.

პარტიულმა კონფერენციამ აღნიშნა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში, პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამით მნიშვნელოვანწილად აიხსნება ის მოშვებულობა და სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკულ მუშაობაში. როგორც პარტიის თბილისის კომიტეტს, ისე რაიონულ კომიტეტებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ პარტიულ განათლებაში მთავარია ის, რომ პარტიული სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მიმდინარე ცხოვრებასთან, საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებთან.

თბილისის საქალაქო კომიტეტი სუსტად ახორციელებდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებებს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. ამით აიხსნება ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებსა და შემოქმედებითს კავშირებს ახასიათებთ თავიანთ მუშაობაში. კონფერენციაზე მხილებულ იქნა, მაგალითად, ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზოგიერთი მუშაკის წამგლეჯური განწყობილება და უპრინციპო დაჯგუფებანი მიხერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის ფილიალში.

თბილისის XXI პარტიულ კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. ი. ძგელაძე. იგი შეეხო პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში, სამრეწველო საწარმოთა და საქალაქო მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს, დაშვებულ დამახინჯებათა და ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში აღმოფხვრისა და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლის საკითხებს.

დაშვებული პოლიტიკური შეცდომებისა და არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკული მუშაობისათვის კონფერენციამ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში შეაფასა არადამაკმაყოფილებლად.

ბუნებრივია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის სერიოზული შეცდომები, ნაკლოვანებანი და ჩავარდნები, არ იძლეოდა იმის საბაბს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციისათვის მიეძღვნა ისეთი მოწინავე წერილი და სხვა მასალები, რომლებშიც შექებული იყო საქალაქო კომიტეტის მუშაობა, ნაკლოვანებათა მხილებისა და მათი ბოლშევიკური კრიტიკის ნაცვლად მოცემული იყო პარადული კეთილდღეობის განწყობილება და ობივატელური თვითდამშვიდებულობა. მოწინავე წერილსა და სხვა მასალებში ძლიერ შექებული იყო სამეურნეო-კულტურული მშენებლობის წარმატებანი და ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ყოველივე ეს, ცხადია, სრულებითაც არ შეესაბამებოდა საქმის ფაქტიურ მდგომარეობას. ამ მოწინავე წერილისა და სხვა მასალების დაბეჭდვით გაზეთის რედაქციამ, გამოიჩინა რა პოლიტიკური სიბეცე და უპასუხისმგებლობა, დაუშვა სერიოზული შეცდომა.

„კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივის ამოცანაა შეუნელებელი მუშაობით გამოასწოროს დაშვებული შეცდომა, ბოლშევიკური კრიტიკის მომარჯვებით ამხილოს ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებანი და ამით დახმარება გაუწიოს ჩვენს პარტიას ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

თბილისის XXI საქალაქო კონფერენციამ საანგარიშო მოხსენების გამო მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც ასახულია თბილისის ბოლშევიკების წინაშე მდგომი ახალი უდიდესი ამოცანები მრეწველობის, ახალმშენებლობათა და კეთილმოწყობის დარგში, თბილისის—საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო, კეთილმოწყობილ და ლამაზ ქალაქად გადაქცევის საქმეში.

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ლენინის მოწაფეს, დიდი სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

„პირობას გაძლევთ, საყვარელო ამხანაგო სტალინ, — ნათქვამია მისალმებაში დიდი სტალინისადმი, — **რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ ყველა თქვენი მითითების და პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებას.**

პირობას გაძლევთ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ძირეულად გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, წინ წამოვწიოთ ჩამორჩენილი საწარმოები, უზრუნველვყოთ პროდუქციისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ქარხანამ და ფაბრიკამ, ყოველმა მშენებლობამ შეასრულოს გეგმა, გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის“.

ეჭვი არ არის, თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილია დიად სტალინურ ტრადიციებზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებს იმისათვის, რომ ბოლშევიკურად დაძლიოს მის წინაშე მდგომი ყველა ამოცანა და გამოვიდეს ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის მოწინავე რაზმების რიგში.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ბოლესლავ ბერუტს

ვარშავა

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს ნება მიბოძეთ, ამხანაგო პრეზიდენტო, მოგესალმოთ, როგორც ახალი, გაერთიანებული, დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის დიდ მშენებელსა და ხელმძღვანელს.

გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში მომძმე პოლონელი ხალხის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის პოლონეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკეთილდღეოდ.

ი. სტალინი

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ბ. ბერუტს

ვარშავა

თქვენი დაბადების 60 წლისთავის გამო გთხოვთ, ამხანაგო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა. გისურვებთ ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში პოლონელი ხალხის და ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობის საკეთილდღეოდ.

ნ. შვერნიკი

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

ვოლგა-დონის სარწყავი სისტემის პირველი რიგის არხებმა წყალი მიიღეს

დონის როსტოვი. (საკდესი). დონის მაგისტრალური არხი ავსებულია. იქიდან წყალი წავიდა პირველ განმანაწილებელ შტოში — ქვემო დონის არხში. ორნახევარ საათში მან გაიარა 14 კილომეტრი და შეჩერდა გადამლობავ ნაგებობასთან. ამ უბნის გამოცდა ძირითადად განხორციელდა ისევე, როგორც მაგისტრალური არხისა, თოვლის წყლით და ამიტომ დონის წყალი აქ მიდიოდა გაკვლეული გზით. გუშინ დღის ბოლოს წყლის დონემ არხში ორ მეტრს გადააჭარბა. ძალე გაიხსნება წყალსაშვებნი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრები მაცოცხლებელ წყალს მიიღებენ.

დონის მაგისტრალური და ქვემო დონის განმანაწილებელი არხების ზონაში გარეფხულზე პირველად მოირწყვება 65 ათასი ჰექტარი მიწა.

სწრაფად ივსება წყლით აზოვის განმანაწილებელი არხი, რომელიც ვესიოლის ზღვიდან იღებს წყალს. სატუმბავი სადგურის ამუშავებულმა პირველმა აგრეგატმა არხში უკვე გადატუმბა მილიონამდე კუბური მეტრი წყალი. გუშინ წყალმა არხით მიაღწია კოლმეურნეობების „ზავეტი ილიჩას“ და „ისკრას“ ზონას. შემდეგ დაიწყება სარწყავი ქსელის გამოცდა ვესიოლის რაიონის სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებშიც.

ამრიგად, ვოლგა-დონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური, ქვემო დონისა და აზოვის პირველი რიგის განმანაწილებელი არხები, რომლებმაც მიიღეს წყალი, უკვე იწყებენ მის გადაცემას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუდმივი სარწყავი ქსელის გამოსაცდელად. როგორც კი შემოდგომის ხორბალი და გაზაფხულის ნათესები მოითხოვენ ტენს, დაიწყება როსტოვის ოლქის გვალვიანი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველი ასი ათასი ჰექტარის მასობრივი მორწყვა.

კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე

კუიბიშევი, 17 აპრილი. (საკდესი). კუიბიშევის ჰესის მშენებლებმა დაამთავრეს შუნტების პირველი მწკრივის ჩასობა კილომეტრნახევარზე ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულის ზღუდარში.

ახლა ვოლგის კალაპოტის დიდი უბანი გარშემორტყმულია ლითონის სქელი კედლით უზარმაზარი ნალის სახით, რომლის ბოლოები ებჯინება მდინარის მარჯვენა ნაპირს. კედელში დატოვებულია გასასვლელი მცურავი მიწახალია მექანიზმებისათვის, რომლებიც გრუნტს ამოიღებენ ქვაბულის წყალქვეშა ნაწილიდან. ნალის ზემო ნაწილში, მდინარის თითქმის შუა ადგილას, აღმართულია ლითონის რვა კოშკი თვითეული 20 მეტრი დიამეტრისა. შიგნიდან და გარედან ქვით ამოვსებულმა კოშკებმა შექმნეს მძლავრი ბასტიონი, რომელიც შეიანელებს ვოლგის სწრაფ დინებას.

გამოიყენეს რა ორთქლის მძლავრი ურნალები და ვიბრატორები, მექანიზატორებმა დიდ ნაყოფიერებას მიაღწიეს და დღეღამეში დასცეს 135 ტონამდე შუნტი.

ახლა, ზღუდარის განიერ ზვინულზე დაგებული რელსებით მოძრაობისას, სახმელეთო ურნალებს ამოჰყავთ შუნტის მეორე კედელი პირველისაგან 16 მეტრ მანძილზე. ორივე კედელი შეერთდება ანკერის ეპიმით. ეს მათ მისცემს სიმაგრესა და სიმტკიცეს. ზღუდარში უკვე ჩასობილია 120 შუნტის ხიმინჯი.



ვოლგადონიშენი. დამამთავრებელი სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს ვარვაროვკის ხატუმბავ სადგურში, რომელიც უახლოეს ხანში დაიწყებს წყლის გადატუმბვას ბერესლავკის წყალსაცავიდან ვარვაროვკის წყალსაცავის ავსებად. **სურათზე:** ვარვაროვკის ხატუმბავი სადგურის სამონტაჟო მოედანზე.

ფოტო ს. კოპიევნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მექანიზმები მებოსტნეებისა და მეკარტოფილეებისათვის

ლენინგრადი. (საკდესი). სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა ა. ს. ბელიაევმა, ა. ნ. ტიმოფეევმა, ე. პ. ვოზნესენსკიმ შეიმუშავეს კონსტრუქცია ახალი მექანიზმებისა, რომლებიც აადვილებენ მებოსტნეებისა და მეკარტოფილეების შრომას.

მეცნიერთა ნახაზების მიხედვით დამზადებულია უ-2 მარკის ტრაქტორისათვის დასაკიდი აგრეგატი ერთდროულად კვალების გაყვანისა და საბოსტნე კულტურებისა და ძირხვენების თესვისათვის. მექანიზმი მარჯვეა იმით, რომ მისი გამოყენება შეიძლება როგორც დიდ, ისე მცირე ფართობებში სამუშაოდ. შექმნილია აგრეთვე სათესი აგრეგატი, რომელიც შედგება კუტს-2.8 მარკის სატრაქტორო კულტივატორის, სათესი მანქანებისა და ბალ-საბოსტნე ტრაქტორისაგან.

გადაჭრილია მეკარტოფილეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი—კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდით კარტოფილის დარგვის მექანიზაცია. არსებული სერიული კარტოფილსარგავი მანქანებისათვის კონსტრუირებულია სამარჯვი, რომელიც საშუალებას იძლევა ეს მანქანები ფართოდ იქნას გამოყენებული კვადრატულ-ბუდობრივი რგვისას. ლენინგრადის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს სახელოსნოებში ამჟამად მზადდება 550 ასეთი სამარჯვი ოლქის ყველა მტს-ისათვის.

ზემპერატურის ავტომატური რეგულირება

ლენინგრადი. (საკდესი). ფაბრიკა „სკოროხოდის“ საამქროში დადგმულია სადგური, რომელიც არეგულირებს ფეხსაცმლის ცხელი ვულკანიზაციის 86 წნეხისათვის სითბოს მიწოდებას. სადგური ავტომატურად არეგულირებს წნეხებში ფეხსაცმლის გახურების ტემპერატურას და უზრუნველყოფს ლანჩების ჩინებულ ვულკანიზაციას.

რომელიმე კვანძის ან წნეხის დაზიანების შემთხვევაში ნოქმედებას იწყებს დამცველი აპარატურა, რომელიც სიგნალს იძლევა მუშაობის დარღვევის შესახებ და ამავე დროს ჩაურთავს სათადარიგო მექანიზმს.

ფაბრიკაში დაიწყო კიდევ 11 ასეთი სადგურის მონტაჟი. ისინი განახორციელებენ ასობით სავულკანიზაციო წნეხის მუშაობის რეგულირებას.

ახალი მინისმთხრელი აგრეგატები

სვერდლოვსკი, 17 აპრილი. (საკდესი). ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი შეუდგა ორი მორიგი მოსიარულე ექსკავატორის დამზადებას. საწარმოს მსხმელებმა უკვე უზრუნველყვეს ერთი მანქანა ფოლადის ნამზადებით. ახლა ასხამენ მეორე აგრეგატის დეტალებს.

გუშინ დაიწყო საამწყობო მექანიზმის კორპუსებისა და დეტალების მექანიკური დამუშავება. სტახანოველმა ა. ლეონტიევმა ცვლის განმავლობაში ნორმით გათვალისწინებული ორი დეტალის ნაცვლად მოახარატა ოთხი დეტალი.

მიწისმთხრელი აგრეგატები განკუთვნილია სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლობისათვის.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა შრომითი საქმეები

— ახალი საწარმოო წარმატებებით აღვნიშნოთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი! — ამ გადაწყვეტილებით მუშაობენ ამ დღეებში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველები. დიდი საწარმოო აღმავლობაა ქარხნის სახარატო-მექანიკურ საამქროში. საამქროს კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ აპრილის საწარმოო გეგმა 110 პროცენტით შეასრულოს, ამასთან გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და შეამციროს მისი თვითღირებულება. აპრილის პირველ ნახევარში საამქროს 18 მუშას უკვე შესრულებული ჰქონდა თვიური გეგმა, მათ შორის ჩქაროსან ხარატებს ი. ჭუმბურიძეს, ა. მარგველაშვილს, ნ. გავრიკოვს, კ. ვასილიევს, რ. შავკანს, ვ. დავთიანს, მბურღავს ზ. ლონდარიძეს, მრანდავს გ. ბერუაშვილს, ჩამტეხს მ. სიჭინავას თვითეულს დღეისათვის თვენახევრის საწარმოო დავალება აქვს შესრულებული.

ფართოდ არის გაშლილი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება ამწყობ საამქროში. მარტში ამწყობებმა გეგმის გადამეტებით შეაკეთეს და გამოუშვეს ორი ორთქლმავალი. ამავე თვეში მომზადდა ორი ორთქლმავალი, რომლებიც აპრილის პირველ ნახევარში იქნა გამოშვებული. საამქროში გაჩაღებულია ბრძოლა ლითონის ხარჯვის ეკონომიისათვის. თებერვალში აქ 62.483 მანეთის ძველი დეტალები აღადგინეს, ხოლო მარტში მასალების ეკონომიურად ხარჯვით 78.000 მანეთი დაზოგეს. მოწინავე სტახანოველმა ა. სტეპანსკიმ თებერვალში 3.700 მანეთის, ხოლო მარტში 4.000 მანეთის ლითონი დაზოგა.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს აპრილში სამგზავრო-სავაგონო საამქროს კოლექტივი. საამქროს სტახანოველები საპირველმაისო სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და იკისრეს: აპრილში გეგმის გადამეტებით შეაკეთონ ერთი ვაგონი, ლითონის მომჭირნეობით ხარჯვით გასწორონ 85 ათასი მანეთის ეკონომია, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 3 პროცენტით.

ქუთაისისა და ლენინაბადის საგრენაჟო ქარხნების შეჯიბრება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამას წინათ ქუთაისის საგრენაჟო ქარხანაში მიიღეს ლენინაბადის საგრენაჟო ქარხნის კოლექტივის წერილი, რითაც ისინი შეჯიბრებაში იწვევენ ქუთაისელებს. გამოწვევა ქუთაისელებმა ერთსულოვნად მიიღეს და საპასუხო წერილი გაგზავნეს ლენინაბადში. წერილში სხვათაშორის, მოთხრობილია აბრეშუმის ჭიის სადღეღამისო კვების ქისტაურელთა მეთოდის შესახებ, რაც შუა აზიაში ჯერჯერობით არ არის გამოყენებული.

საგრენაჟო ქარხნის კოლექტივი ძირითადად მზად არის ახალი სეზონისათვის. საამქროებში მიმდინარე და კაპიტალური რემონტი გაუკეთეს ინვენტარს, პერგამენტით დაწებილია პეპლის საიზოლაციო 1.600 ათასი პარკი, წესრიგზე მოიყვანეს 5 საინკუბაციო კამერა, 2.176 მეაბრეშუმესთან დადებულია კონტრაქტი.

სეზონისათვის მზადებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი უბნის უფროსებმა მ. ჩხიკვაძემ, ნ. ჭეიშვილმა, ბრიგადირმა მ. ყუფარაძემ და სხვ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 30 წელი

30 წლის წინათ, 1922 წლის 20 აპრილს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები თავიანთი ავტონომიური ოლქის 30 წლისთავს აღნიშნავენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა და განვითარდა ოლქის სოფლის მეურნეობა, შეიქმნა მრეწველობა, ადმოიფხვრა ხალხის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ოსმა ხალხმა ქართველი ხალხის ძმური დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის განვითარების დარგში. სამხრეთ ოსეთში არის ტალკის საწარმო, სატყეო კომბინატი, ასფალტ-ბეტონის, ხე-ტყის, აგურ-კრამიტის, კირის, ლუდის ქარხნები; განვითარდა სამთამადნო მრეწველობა.

სამხრეთ ოსეთს აქვს კარგი, კეთილმოწყობილი გზები, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ ჰქონდა. 1940 წელს განხორციელდა ოსი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: ოსი ხალხის საუკეთესო შვილების ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით გაყვანილ იქნა სტალინირ-გორის რკინიგზა.

დიდი ცვლილებანი მოხდა სამხრეთ ოსეთის სოფლებში. ბრძნული სტალინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა დაადგა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის გზას. საკოლმეურნეო წყობილებამ ოს ხალხს მოუტანა შეძლებული და კულტურული ცხოვრება, რაზეც წინათ ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვამ, მინერალური სასუქების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვიდიდებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. შარშან სასაქონლო მარცვლეული და ტექნიკურ კულტურათა მოსავალი გაციცლებით უფრო მეტი მივიღეთ, ვიდრე წინა წლებში. ოლქის კოლმეურნეობებმა დროზე და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებისათვის.

ოლქის მთელი რიგი კოლმეურნეობები წლების მანძილზე უხვ მოსავალს იღებენ. ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 62 კაცმა მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა.

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს 3 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. გაჩნდა ახალი სკოლმეურნეო სოფლები ლამაზი საცხოვრებელი სახლებით. ბევრ სოფელში ციმციმებს ელჩის ნათურები. მარტო უკანასკნელ ხანს ოლქში აშენდა 10 სასოფლო ჰიდროელექტროსადგური.

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავ არხებს. 1947 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა კეხვის არხი, რომელიც 3.000 ჰექტარ მიწას რწყავს. წელს მწყობრში ჩადგება ვანათის სარწყავი არხი, რომელიც 1.800 ჰექტარ მიწას მორწყავს.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული მეცხოველეობის დარგში. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ოლქმა წარმატებით შეასრულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ ოსეთს არ ჰყავდა თავისი სამედიცინო კადრები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ კერძო ფერშალს. ახლა ოლქში მუშაობს მედიცინის მრავალი ასი სპეციალისტი.

1925 წელს ოლქში იყო მხოლოდ 1 საავადმყოფო 50 საწოლით, ახლა კი 19 საავადმყოფოა 584 საწოლით, სულ კი ოლქში არსებობს 97 სამედიცინო დაწესებულება.

ფართოდ გაიშალა კულტურულ მშენებლობა; გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამჟამად ოლქში არის 21 ბიბლიოთეკა, 31 კლუბი, 38 სამკითხველო, სახელმწიფო მუზეუმი, კულტურის სახლები. გამოდის 2 საოლქო და 3 რაიონული გაზეთი, ერთი მხატვრულ-პოლიტიკური ჟურნალი. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა მასობრივი ტირაჟით უშვებს ოსურ ენაზე თარგმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს, რუს და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, საბჭოთა მწერლების თხზულებებს. გაიზარდა და განმტკიცდა ოსური ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიბადა.

არაჩვეულებრივად იცვალა სახე საოლქო ცენტრმა სტალინირმა. სტალინირში არის პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური სასწავლებელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო და მუსიკალური სკოლები. აქვეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

დიდი სამამულო ომის წლებში ოსი ხალხის შვილები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გმირულად იცავდნენ ჩვენს დიდ სამშობლოს. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი საბჭოთა კავშირის გმირებმა კ. კოჩიევმა, ვ. ჩოჩიევმა, ა. ოსტაევმა, ს. კობლოვმა, გ. საბანოვმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ი. პლიევმა და სხვ.

თვალსაჩინოა ის მიღწევები, რომლებიც ოსმა ხალხმა მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. მაგრამ, თვალს ვავლებთ რა ჩვენ მიერ განვლილ გზას, თვითდამშვიდებას როდი უნდა მივეცეთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მუშაობის ჩრდილოეთი მხარეები. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველა კოლმეურნეობაში დამაკმაყოფილებლად როდია გაშლილი ბრძოლა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ სუსტია ოლქის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარება გამსხვილებული კოლმეურნეობებისადმი. ჩვენი გადაუდებელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ რათა ჩამორჩენილი კოლმეურნეობები უახლოეს ხანში წამოვწიოთ მოწინავეთა დონემდე.

საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამრღვევთა წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და გამფლანგველთა წინააღმდეგ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები, რომლებიც აღზრდილი არიან ამხანაგ ლ. ბერიას მიერ ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ი. კულუხოვი

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ჰექტარზე მივიღეთ 100 ცენტნერ ყურძენს

სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას ვენახის ფართობი დიდი არა აქვს, მაგრამ ყურძნის მოსავლიანობის მხრივ რაიონში პირველი ადგილი უკავია. ჩვენს ბრიგადას აქვს 23 ჰექტარი ვენახი. თვითეულ ჰექტარზე შარშან 64 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, გეგმა კი 45 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მაგრამ მიღწეულით როდი ვკმაყოფილდებით. გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვის პასუხად ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძნის მიღება ვიკისრეთ. ამ მიზნით ვენახი ორჯერ მოვხანით, ვაზის ძირები ჯამოვბარეთ.

წინა წლებში გასხვლის დროს ვაზს ერთ რქას ვუტოვებდით 8-10 კვირტით. წელს ორი რქა დავტოვეთ, დატვირთვა ოც კვირტამდე ავიყვანეთ. მინერალური სასუქები სრული დოზით შევიტანეთ, ახლა ორგანული სასუქები შეგვაქვს.

ახალი ვაზის გასაშენებლად მდინარე ყინდირას პირას ავითვისეთ ახალი ფართობი. ნამყენი ვაზი საკმარისი გვაქვს. შემოდგომაზე ჩვენს ვენახებს 5 ჰექტარი „რქაწითელი“ და „საფერავი“ შეემატება.

ჩვენი ბრიგადის მოწინავე მევენახეები ილია ტალაშვილი, ალექსი მოსიაშვილი, ლევან თათრიშვილი და გიგლა ბეროშვილი ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის იბრძვიან.

ალ. მეგალიშვილი

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი.

შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ჩიხლაძე) გაჩაღდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაებნენ ბრიგადები, რგოლები და ცალკეული კოლმეურნეები, ხოლო კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე სოფლის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა.

სოციალისტური შრომის გმირის გ. წივწივაძის ბრიგადას მოსაველოდ მიჩენილი აქვს 20 ჰექტარი ვენახი. ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ყურძენი. სოციალისტური შრომის გმირმა მერგოლურმა ს. ნებიერიძემ იკისრა თვითეულ ჰექტარზე 125 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი მოიყვანოს. ამ რგოლმა კოლმეურნეობაში ყველაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა ვენახების გასხვლა.

მაღაროს კოლმეურნეობაში

სილნაღი. (საკ. კორ.). სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ 1.614 ჰექტარზე უთესიათ თეთრი და წითელი დოლის ჯიშის ხორბალი. ნათესს მზრუნველობა არ მოაკლეს და დამატებით გამოკვებეს. მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელები იდ. გოგინაშვილი, ა. მარტიროსოვი და ა. ქადაგიშვილი, კოლმეურნეების მანია და ნინო უსუფაშვილების, ნინო ნასყიდაშვილის, ქეთო და ელენე ჯანიკაშვილების, ნინო მაჭარაშვილის, ბაბალე შაიმელაშვილის, ანეტა ყანდაშვილის დახმარებით ბეჯითად შრომობენ ნათესებში სარეველა ბალახების მოსასპობად. მაღაროელ კოლმეურნეებს ნაკისრი აქვთ თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 18 ცენტნერი ხორბალი.

საკოლმეურნეო კადრების ფერმაში შერჩევის შედეგები

ქარელის რაიონის ურბნისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გიორგი ბარამაშვილი) წლითიწლობით არ სრულდება მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმები. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გამგეობის თავმჯდომარე ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას, უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ითვისებს საკოლმეურნეო ქონებას.

აი რამდენიმე ფაქტი. ბარამაშვილმა გასულ წელს მოსავლის აღებისთანავე მინდვრიდან პირადი განკარგულებით მიჰყიდა 900 კილოგრამი კომბოსტო კოლმეურნე გ. ხანიშვილს, ამასთანავე მას ოფიციალური ცნობა მისცა, თითქოს კომბოსტო თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ჰქონდა მოყვანილი.

გასულ წელს კოლმეურნეობამ 328 კუბმეტრი რიყის ქვა დაუმზადა გზატკეცილის სამმართველოს გორის განყოფილებას. ამის გასამრჯელოდ განყოფილების ტექნიკოსმა ვ. ჭუმბურიძემ კოლმეურნეებს 785 მანეთი მისცა. გარდა ამისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მათ უკანონოდ დაურიცხა ქვის დამზადებისათვის 82 შრომადღე.

თავმჯდომარემ შარშან ზაფხულში მთის საძოვარზე უფროს მწყემსად მიავლინა თავისი ძმა ალექსი ბარამაშვილი. მისი მეშვეობით რძის პროდუქტები აუწონავად იგზავნებოდა ბარში, რითაც ხელი მოითბეს თავმჯდომარემ და მისმა ძმამ. ორნახევარ ჰექტარზე მიღებული შაქრის ჭარხალი თავმჯდომარის მითითებით რატომღაც ღორების საკვებად გამოიყენეს. მოუწესრიგებელია საკოლმეურნეო ქონების აღრიცხვა. კოლმეურნეობის მთავარი ბუხჰალტერი სამსონ ხიზანიშვილი ბოროტად იყენებს თანამდებობას. კოლმეურნეებმა დავით ბალახაძემ და დავით ხიზანიშვილმა ბაზარზე გაყიდეს კოლმეურნეობის კომბოსტო და მიითვისეს 1.130 მანეთი. ეს იცოდა მთავარმა ბუხჰალტერმა, მაგრამ დუმილი ამჯობინა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა პირუტყვის მოვლა-პატრონობას. გასულ წელს მოუვლელობის შედეგად დაიხოცა 13 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 3 ღორი და 100 სული თხა და ცხვარი. საკვებ ჩალას პირუტყვი ანიავებს. ვხედებით თვალისანვევის ფაქტებს. ფერმის ქათმების სულადობაზე კოლმეურნეობას რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში წარდგენილი აქვს ფიქტიური ცნობა.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ს. მაზარაშვილი (ოგივე ფერმის გამგე) სათანადო კონტროლს არ უწევს კოლმეურნეობის საქმიანობას, სუსტად მუშაობს საკოლმეურნეო ქონების დასაცავად. 8 სული ცხვარი მან თავმჯდომარის განკარგულებით უმნიშვნელო ფასად ნაცნობებს მიჰყიდა.

ეს დამახინჯებანი იმის შედეგიც არის, რომ სარევიზიო კომისიას მარშან მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუხდენია კოლმეურნეობის საფინანსო საქმიანობის რევიზია, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნ. ანესაშვილი თავს ვერ ართმევდა მუშაობას.

კოლმეურნეობაში წლითიწლობით არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას. კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გასულ წელს სიგნალი შეევდა პარტიის ქარელის რაიონულ კომიტეტში. მამხილებელი წერილის სისწორე ადგილზე შეამოწმა საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. გელაშვილმა. ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც დადასტურებულად ცნო კოლმეურნეობაში მიწათსარგებლობის წესების დარღვევა, შრომისა და ანგარიშწარმოების წესების მოუწესრიგებლობა და სხვ. მაგრამ რაიკომის ბიურომ გვერდი აუარა იმ პირთა დასჯას, რომლებმაც ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით არევ-დარევა შეიტანეს აღრიცხვაში. ბიუროო დაკმაყოფილდა თავმჯდომარისა და პარტორგანიზაციის მდივნისათვის მხოლოდ მითითების მიცემით და საკოლმეურნეო წესდების უხეში დარღვევის ფაქტები სათანადო პრინციპულ სიმაღლეზე არ აიყვანა.

რატომ მოხდა ასეთი ბოროტმოქმედება ამ კოლმეურნეობაში? იმიტომ, რომ კოლმეურნეობას სათავეში უდგას შეუმოწმებელი, უუნარო მუშაკი გ. ბარამაშვილი. ამაში ბრალი მიუძღვის პარტიის რაიონულ კომიტეტსაც, რომელიც არღვევს კადრების შერჩევის ბოლშევიკურ პრინციპს. საქმე ის არის, რომ ურბნისის კოლმეურნეობის ახლანდელი თავმჯდომარე 1938 წელს პასუხისგებაში იყო მიცემული სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის და 1943 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდანაც იყო მოხსნილი. ყოველივე ამის შემდეგ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ბარამაშვილს კვლავ მისცა რეკომენდაცია ურბნისში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევად!

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და ქმედითი ზომები მიიღონ ურბნისის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საკოლმეურნეო სახსრებს უთავბოლოდ ხარჯავენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 3 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ მდგომარეობას.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ განიხილა მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის და დამახინჯებათა ფაქტები. ბიურომ გაზეთ „კომუნისტის“ 1952 წლის 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი და მასში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურებულად ცნო. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა და საფინანსო დისციპლინის დამახინჯებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. ნაკაიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით საარჩიცხვო ბარათში შეტანით.

კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე შ. ცეცხლაძე, რომელიც ბოლო დროს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, და კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ვ. პაიჭაძე მოხსნილი არიან სამუშაოდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

კოლმეურნეობის ფერმის გამგე მ. ბერიშვილი მოხსნილია სამუშაოდან.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინვერესების სადარაჯოზე

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების პირობებში სწრაფი ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, უმჯობესდება საბჭოთა გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მისი კულტურული დონე.

„კოლექტივიზაციის მეთოდი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — უაღრესად პროგრესული მეთოდი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხების გაღატაკებას, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა მოგვფინა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც საშუალება აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევანი და მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი სასაქონლო პროდუქცია“.

მოკლე ისტორიულ ვადაში პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებულმა კოლმეურნეობებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს. უკვე 1940 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა ორი მილიარდ სამასი მილიონი ფუთით გადააჭარბა რევოლუციამდელ დონეს. ბამბის წარმოება გადიდდა სამნახევარჯერ, საბოჭკოე სელისა და შაქრის ჭარხლისა — თითქმის ერთიორად, მზესუმზირასი — ოთხნახევარჯერ.

საკოლმეურნეო წყობილებამ ღირსეულად გაუძლო ომის მკაცრ განსაცდელს. მიუხედავად იმ უდიდესი ზარალისა, რაც სოფლის მეურნეობას ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს, კოლმეურნე გლეხობამ უზრუნველყო არმიისა და მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება სურსათით, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულით.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობას დაუსახეს პასუხსაგები ამოცანა — არა მარტო აღედგინა ომამდელი დონე, არამედ მნიშვნელოვნადაც გადაეჭარბებინა მისთვის. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის ხუთწლიანი გეგმა. მნიშვნელოვნად გადიდდა ბამბის, საბოჭკოე სელის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას საერთო მოსავალი.

ამჟამად სოფლის მეურნეობის მაღალ ტექნიკურ აღჭურვილობასთან, კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან, კოლმეურნეთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდასთან დაკავშირებით შექმნილია საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის უაღრესად ხელსაყრელი პირობები. **პარტია კოლმეურნე გლეხობის ღონისძიებებს წარმართავს იმისაკენ, რომ გადაიჭრას მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობის დარგში — მნიშვნელოვნად გადიდდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, სწრაფად გამრავლდეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და ამავე დროს მნიშვნელოვნად გადიდდეს მისი პროდუქტიულობა.**

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მზრუნველად იცავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებს, გვასწავლიან მტკიცედ დაცვათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. პარტიისა და მთავრობის მიერ 1946 წელს მიღებული დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ მიმართულია ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც უაღრესად მავნეა კოლმეურნეობათა საქმისათვის და ძალიან საშიშია ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალისტური მშენებლობისათვის. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „...საბჭოთა, პარტიული და სამეწარმოქმედო ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, დამნაშავენი საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებასა და უკანონოდ გამოყენებაში, პოსტებიდან მოიხსნებიან და მიცემული იქნებიან პასუხისგებაში, როგორც კანონის დამრღვევები და საკოლმეურნეო წყობილების მტრები“.

ჩვენი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან გულმოდგინედ იბრძოლონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის, ფხიზლად იდგნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სადარაჯოზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარტიისა და მთავრობის სერიოზული გაფრთხილების მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არის კოლმეურნეობების საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი დატაცებისა და განიავების ფაქტები. ამას სერიოზული ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმისათვის, ბღალავს კოლმეურნეთა ინტერესებს, ამცირებს შრომადღის ანაზღაურებას.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, საკავშირო კ. პ. (ბ) ალტაის სამხარეო კომიტეტი, სამხარეო აღმასკომი, პარტიის რაიკომები და მხარის რაიაღმასკომები ჯერ კიდევ ბრძოლას არ ეწევიან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ქონებისა და პროდუქციის დატაცება-განიავების წინააღმდეგ. მხარეში შემჩნეულია საკოლმეურნეო პროდუქციის დანაშაულებრივი დატაცების, ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვადასხვა პირთა მიერ საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარღვევის, საკოლმეურნეო ქონების მითვისების, მთავრობის მიერ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის გამოყოფილი კონცენტრირებული საკვებეს განიავების, საკოლმეურნეო სათიბთა უკანონოდ მითვისებისა და გათიბვის ფაქტები. ბევრი ორგანიზაცია და ხელმძღვანელი მუშაკი გავლენას ახდენს კოლმეურნეობებზე და აიძულებს მათ, რომ საკოლმეურნეო პროდუქცია მისცენ დაბალ ფასებში, რაც არსებითად აგრეთვე საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ალტაის სამხარეო კომიტეტი და რაიკომები შემრიგებლურად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევებს და მათს მფარველებს, არ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს საზოგადოებრივი მიწებისა და ქონების დამტაცებლების, როგორც საკოლმეურნეო წყობილების მტრების, დასჯის შესახებ. ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი ნაცვლად იმისა, რომ იდგეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების სადარაჯოზე, გაუფრთხილდეს და გაამრავლოს საკოლმეურნეო საკუთრება, იზრუნოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებისათვის, თვითონ არღვევს წესდებას, იტაცებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ საკუთრებას, სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და აიძულებს კოლმეურნეობებს უკანონოდ მისცენ უფასოდ ან ჩალის ფასად პროდუქტები, პირუტყვი და სხვა საკოლმეურნეო ქონება.

პარტიის უსტ-კოქსისა და სოროკინოს რაიკომების ყოფილი მდივნები გრიგორიევი და ნესტეროვი, იამინსკიეს რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გორდეევი, დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული სოროკინოს რაიონში სულოევი, უსტ-კალმანკის რაიკომის მდივანი ზინჩენკო და იმავე რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბარანოვი უსინდისოდ აფათურებდნენ ხელს კოლმეურნეობის ჯიბეში, ჩალის ფასად მიჰყავდათ მეწველი პირუტყვი და მიჰქონდათ პროდუქტები, ცვლიდნენ ცუდ ცხენებს ჯიშიან მწარმოებლებზე. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევისათვის გრიგორიევი, გორდეევი, სულოევი, ზინჩენკო, ბარანოვი და ნესტეროვი გარიცხული არიან პარტიიდან. ახლა საკოლმეურნეო საკუთრების ამ დამტაცებლებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევათა შესახებ სიგნალები მოდის ბაშკირეთის, ტამბოვის, კიროვისა და ზოგიერთი სხვა ოლქის ცალკეული კოლმეურნეობებიდან. არის ფაქტები, როცა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების პოსტებზე ამუშავებენ უღირს ადამიანებს. 1950 წლის ზაფხულში ტამბოვის ოლქის მიჩურინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე მუჩკაპის რაიონული ორგანიზაციების წაყრუებით დაყენებულ იქნა ვინმე რეპინი, ადამიანი, რომელიც ღირსი არ იყო სათავეში ჩასდგომოდა დიდ საზოგადოებრივ მეურნეობას. კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ორმ გახდა, მან ხელი მიჰყო საკოლმეურნეო პროდუქტების განიავებასა და ფულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ა ტ რ ი

გმირები არ კვდებიან

(„გასტელლო“ მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სცენაზე)

ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მრავალ მგზნებარე პატრიოტს უმაგალითო გმირობა და მამაცობა გამოუჩენია. ზოგმა მათგანმა უყოყმანოდ შესწირა მას სიცოცხლე. ამ ადამიანთა სახელები შთამაგონებელი მაგალითია გმირი საბჭოთა ხალხისათვის.

ერთ-ერთი ასეთი სახელოვანი ადამიანის — სტალინური შვიკარდნის ნიკოლოზ გასტელოს ცხოვრებასა და უბადლო მამაცობაზე მოგვითხრობს ი. შტოკის პიესა „გასტელო“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა უჩვენა ნორჩ მაყურებელს.

სპექტაკლ „გასტელოს“, რომელიც კარგად მიიღო მაყურებელმა, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის.

ზემოქმედების სცენიური საშუალებებით სპექტაკლში გამახვილებულია ერთი ძირითადი ხაზი — საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ურყევი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი, ადამიანისა, რომელსაც აქვს ნათელი მიზანი და შეუძლია ამ მიზნისათვის თავის განწირვა.

სპექტაკლი გამოირჩევა რეჟისორული გამომგონებლობით, რაც მოზარდ მაყურებელს ეხმარება უფრო მკაფიოდ, ძალდაუტანებლად გაიგოს სპექტაკლის მთავარი ხაზი.

იხდება ფარდა: მაყურებელი ღრუბლებში ხედავს აღმოდებულ თვითმფრინავს, რომელიც დიდი სისწრაფით მიეჭანება, და აი შორს გაისმის ფეთქების ხმა... სივრცეში აღმოჩენდება სახელი — „გასტელო“. ეს უშიშარ გასტელოს თვითმფრინავია, რომელიც დავალების შესრულების შემდეგ შინ ბრუნდებოდა, მაგრამ მტრის საზენიტო ქვემეხმა დაზიანა. მფრინავი არ დაიბრძა, მან აღმოდებული თვითმფრინავი მტრის ავტომანქანებისა და ბენზინის ცისტერნებისაკენ წარმართა და ააფეთქა ისინი.

ამ მოკლე პროლოგის შემდეგ, რაც უსიტყვო სურათის წარმოადგენს, რეჟისორს გადაეყვანართ იმ დღეებში, როცა ჭაბუკი გასტელო, რომელსაც მეგობართან ერთად გადაუწყვეტია გახდეს მფრინავი, მიდის საფრენოსნო სკოლაში. იქ ის ხვდება მფრინავ სერგეი გარინს, რომელსაც გატაცებით მოუთხრობს, თუ როგორ სწყურია გახდეს მფრინავი. აქვე ის ნახავს ახალგაზრდა ანას, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების მეგობარი ხდება. საფრენოსნო სკოლის წლები, დაუვიწყარი შეხვედრა ჩვენი დროის დიდ მფრინავ ვალერი ჩკალოვთან, და გასტელო, უკვე გამოცდილი მფრინავი, მიისწრაფის რესპუბლიკურ ესპანეთში. შემდეგ — ეპიზოდი შორეულ აღმოსავლეთში ხალხინ-გოლთან და, ბოლოს, დიდი სამამულო ომი, გასტელოს უკანასკნელი გაფრენა...

ეი გასტელოს ცხოვრების ეპიზოდები, რომლებიც სპექტაკლშია აღბეჭდილი. მართალია, პიესაში ზოგი ეპიზოდი მოცემულია სქემატურად, ამიტომაც სცენაზე ისინი ყოველთვის მიმზიდველი და დამაინტერესებელი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა რეჟისორმა მ. გიჟიმყრელმა და მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნეს მთლიანი, ერთი მიზნით გამსჭვალული სპექტაკლი, რომელმაც ამ თეატრის დადგმებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ გასტელოს მრავალმხრივ, მაგრამ ამავე დროს მთლიან სახეს სპექტაკლში წარმოგვისახავს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ა. ინოზემცევი. ა. ინოზემცევი-გასტელო სცენაზე პირველი გამოჩენიდანვე იპყრობს მაყურებელს. მსახიობი წარმატებას აღწევს საბჭოთა ადამიანის თვისებების ძალდაუტანებელი, უშუალო გადმოცემით. პირველ სცენებში ვხედავთ მგზნებარე ჭაბუკს, რომელიც დაჟინებით მიილტვის საფრენოსნო სკოლისაკენ. ასევე შეუპოვრად ეუფლება იგი საფრენოსნო ოსტატობას. შეურიგებელი და პირდაპირია ა. ინოზემცევი-გასტელო მფრინავ სერგეი გარინის მიმართ, რომელიც, მართალია, საბჭოთა მფრინავია, მაგრამ სტალინური ეპოქის ადამიანისათვის შეუფერებელი თვისებებიც ახასიათებს. ასევე უშიშარი და შეუდრეკელია ა. ინოზემცევი-გასტელო მაშინაც, როცა სამშობლო მას, ისევე როგორც ჩვენი გმირი ხალხის მილიონობით შვილებს სამშობლოს დაცვისათვის მოუწოდებს.

მთელი მისი მგზნებარე ცხოვრებიდან გამომდინარეობს გასტელოს უკანასკნელი სიტყვები, რომელებსაც მკაფიოდ, მამაცისათვის დამახასიათებელი განწყობილებით გამოთქვამს მსახიობი: — ჩვენ ვიბრძოლეთ მტერთან საკუთარი სიცოცხლით... ხოლო თუ სიცოცხლემ არ იკმარა, მაშინ ჩვენი სიკვდილით ვიომეთ... სამშობლოვ, მე შენთანა ვარ!..

პიესაში ავტორმა შედარებით სრულყოფილად დაგვიხატა თვით გასტელოს სახე, დანარჩენი გმირები კი ცოტად თუ ბევრად სქემატურად არიან მოცემულნი. გ. მალიშევამ, რომელიც გასტელოს მეუღლის ანას როლს ასრულებს, შემოქმედებითად ვერც ის მცირე მასალა გამოიყენა, რომელიც პიესაშია მოცემული. მსახიობის ეს წარუმატებლობა განსაკუთრებით სამწუხაროა, რადგან გასტელოს მკაფიო სცენიური სახის მთლიანი შთაბეჭდილებისათვის მის ოჯახურ ურთიერთობას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნ. გასტელოს ჭაბუკობის წლების მეგობრის ვიქტორ სტეპანენკოს კოლორიტულ სახეს ქმნის ვ. კლეიმიხინი. მსახიობ ი. სუხანოვს თავდაჯერებულად მიჰყავს მფრინავ სერგეი გარინის როლი. ავტორმა სერგეი გარინის სახით მოგვცა ჩვენი ქვეყნის ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა მავნე ინდივიდუალისტის მანკისაგან, იბრძვის პირადი განდიდებისა და სახელისათვის, შურს ამ ხანაგის წარმატება. მის ასეთ თვისებებს გარინი დანაშაულამდე მიჰყავს. ბოლოს, იგი აღიარებს თავის დანაშაულსა და შეცდომებს და გასტელოსთან ერთად დიდებით მოსავს საბჭოთა ადამიანის სახელს.

ახალგაზრდა რეჟისორის დამსახურებაა ჩკალოვისა და გასტელოს შეხვედრის მიზანსცენის მოფიქრებულად გადაჭრა. მსახიობ ლ. რომანოვს ბევრი უმუშავია ამისათვის, რომ მიეღწია გამოჩენილი საბჭოთა მფრინავის პორტრეტული მსგავსებისათვის. მაგრამ ამასთანავე კარი იყო, რომ მის ჩალოვს მეტი სიოცხლე ჰქონოდა, რა წარმოდგენაც აქვს მასზე თვითეულ საბჭოთა ადამიანს და როგორიც ის სინამდვილეში იყო.

რეჟისორულად მეტი დამუშავება სჭირდება პოლკის მეთაურთან გასტელოსა და გარინის შეხვედრის ეპიზოდს. მსახიობი გ. კირსანოვი მშრალი და არაბუნებრივია ამ როლში.

გასტელოს ვაჟის ვიტიას და მეტყველ ქალს ფანიას ოსტატურად დამუშავებული სახეები სათანადო ადგილებს დაიკავებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების ჩ. კიროვასა და რ. ბელენკოს შემოქმედებითს ბიოგრაფიებში.

აღსანიშნავია აგრეთვე მსახიობების ნ. ჩონიშვილის (ბორტ-მექანიკოსი პავლე ვირიავი), ზ. ლავროვის (ბიჭი), ი. მიხაილოვის (ფოტოგრაფი), ა. სიმკოვიჩის (შიკრიკი) და ვ. ოზმანოვის (მედიცინური თმაში, რაც ხელს უწყობს სპექტაკლის საერთო წარმატებას.

რეჟისორს სცენიურად საინტერესოდ აქვს გაკეთებული ბოლო, მეცხრე სურათი — გასტელოს უკანასკნელი გაფრენა. ეკიპაჟის ყველა მონაწილე — გასტელო, გარინი, გირიავი მაყურებელს მეხსიერებაში აღუდგენენ იმ განწყობილებასა და თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის. ამიტომ ბუნებრივია მაყურებელთა დარბაზის ცხოველი გამოხმაურება ამ ეპიზოდზე. მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე ეპილოგი, როცა საჰაერო პარადის დროს ცაში თვითმფრინავების მწკრივი ქმნის ყველა ადამიანისათვის ძვირფას და საყვარელ სახელს — დიდი სტალინის სახელს.

მხატვარ თ. თავაძის გაფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი და მეოთხე სურათები, მაგრამ კომპოზიტორ ვ. ბეიერის მუსიკის მელოდიები პიესის იდეას ხშირად დაცილებულია.

სპექტაკლის ეპილოგში ამაყად გაისმის სიტყვები — გმირები არ კვდებიან... და მართლაც, ასეთი განწყობილებით ტოვებს დარბაზს ნორჩი მაყურებელი. სპექტაკლი თეატრის მთელი კოლექტივისა და ახალგაზრდა რეჟისორის მ. გიჟიმყრელის წარმატებაა.

კ. კალანდაძე

ყოველდღიურად 17.000 ბოთლ მაღალხარისხოვან შამპანურს უშვებს ავჭალის შამპანურის ქარხანა. სურათზე: ქარხნის ჩამოსახსმელ საამქროში. ფოტო ვ. გინზბურგისა

თვითეულ ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები

ბათუმის მიქოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი ბათუმის საწარმოთა შორის ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის პატრიოტულ თაოსნობას თვითეულ ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საქმეში.

ამ საკითხზე მოწვეულ იქნა ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელებისა და საახალგაზრდო-საგეგმო გახყოფილების მუშაკთა გაერთიანებული თათბირი. საგეგმო განყოფილებამ შეადგინა ცალკეულ ოპერაციებზე პროდუქციის საგეგმო თვითღირებულების კალკულაცია და ნორმატივები, შეიმუშავა პირადი ანგარიშებისა და აღრიცხვის მოხერხებული ფორმები.

პირადი ანგარიშები შედგენილ იქნა ძირითადი საამქროების მიხედვით. მათში გათვალისწინებულია საამქროს თვითეული საწარმოო ოპერაციის თავისებურებანი. პირად ანგარიშებში ყოველდღიურად შეაქვთ ეკონომიური მაჩვენებლები, ხოლო თვის ბოლოს აჯამებენ მათ და გამოაყავთ შედეგები.

მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის თაოსნობის დანერგვის პირველი შედეგები უკვე თვალწინ გვაქვს. გასული წლის უკანასკნელი ორნახევარი თვის განმავლობაში თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებით ფაბრიკაში მიღებულია 14 ათასი მანეთის ეკონომია. ამავე პერიოდში საჰილზე საამქროს მემანქანე კომუნისტმა ლ. გრანოვსკაიამ დაზოგა 307 მანეთის, ხოლო მ. გრეგენიუკმა — 183 მანეთის მასალები. დამტენი საამქროს მემანქანე ე. კოვალიოვამ დაზოგა 1.749 მანეთის თამბაქო, ხოლო ა. პოლოსოვამ — 893 მანეთისა და ა. შ.

მრავალმა სტახანოველმა, რომლებიც მონაწილეობენ ამ შესანიშნავ თაოსნობაში, მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და ასობით მანეთი პრემია მიიღეს.

სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ფაბრიკაში დღითიდღე ფართოვდება. იანვარში მარტო პაპიროსის დამტენ საამქროში ამ გზით მიღებულია 3.100 მანეთის ეკონომია. უკეთესი შედეგებია მიღწეული თებერვალსა და მარტში.

აღსანიშნავია, რომ ფაბრიკა დიდი გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 676 ათასი მანეთით.

გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ფაბრიკაში ინჟინერ თ. კოვალიოვის მიესაძინ თაოსნობის დანერგვისათვის. საჰილზე საამქროში გულდასმით შეისწავლეს და შემდეგ ფართოდ დანერგეს მოწინავე ოსტატის ლ. გრანოვსკაიას მუშაობის ხერხები. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოცდილება მუნდშტუკების წყვეტის შემთხვევების აღკვეთის საქმეში. ამავე საამქროში ფართოდ გავრცელდა მემანქანე ა. უსატენკოს მუშაობის ხერხები. მან საჰილზე ქაღალდის სწორი გაწყობით უზრუნველყო სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენება. დამტენ საამქროში დანერგილია მოწინავე სტახანოველების კ. პოლოსოვასა და ე. კოვალიოვას მუშაობის რაციონალური ხერხები.

საკოლოფე საამქროში ფართოდ გავრცელდა მეკოლოფე ოსტატის მ. ხათრიძის მუშაობის მოწინავე მეთოდები. დღითიდღე იზრდება სტახანოველთა რიგები. ამჟამად ფაბრიკაში 85 სტახანოველი მუშაობს.

მატულობს ა. ჩუტკიხის თაოსნობის მიმდევართა რიცხვიც. თუ შარშან პირველი ოქტომბრისათვის საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი რვა ბრიგადა იყო, ხოლო მათში 38 კაცი მონაწილეობდა, თებერვალ-მარტში ამ პატრიოტულ მოძრაობაში ჩაბმული იყო ფაბრიკის ყველა 15 ბრიგადა. აქედან 7-მა ბრიგადამ წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება, მთლიანად დაკმაყოფილა სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობა, რისთვისაც ისინი წარდგენილი არიან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროში „საუკეთესო ხარისხის ბრიგადის“ მაღალი წოდების მისანიჭებლად.

ახლისათვის ბრძოლაში კოლექტივს ნაკლოვანებებიც აქვს. თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა დღემდე არ არის გაჩაღებული თამბაქოს საამქროში.

ფაბრიკის კოლექტივის ამოცანაა მეტი ენერგიით იბრძოლოს წარმოებაში ყოველივე ახლისა და პროგრესულის დანერგვისათვის, მოიპოვოს საუკეთესო ხარისხის ფაბრიკის საპატიო წოდება.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის დაბადების 60 წლისთავის გამო

საზეიმო სხდომა ვარშავაში

ვარშავა, 18 აპრილი: (საკუთარი). დღეს პოლონეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის თავმჯდომარის, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის დაბადების 60 წლისთავის გამო.

სხდომას დაესწრნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები, მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცირანკევიჩის მეთაურობით, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, დიდქალაქის საზოგადო მოღვაწეები, კულტურის მოღვაწეები მუშათა, გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ა. სობოლევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობის წევრები, მეგობრული პარტიების ხელმძღვანელები, დიდქალაქის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და კულტურის მოღვაწეები, შრომის მოწინავეები.

საზეიმო სხდომას ხსნის სეიმის მარშალი ვლადისლავ კოვალსკი.

პოლონელ ხალხს უყვარს თავისი პრეზიდენტი და პატივს სცემს მას, ამბობს კოვალსკი, იმ გმირული ბრძოლისათვის, რასაც ბერუტი ეწეოდა ჰიტლერული ფაშიზმის უღლისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ რევოლუციური ავანგარდი მიჰყავდა დიდ საბჭოთა კავშირთან ძმობისა და კავშირის ერთადერთი სწორი გზით, თავის გარშემო აერთიანებდა საუკეთესო პატრიოტებსა და დემოკრატებს სამშობლოს აღორძინებისათვის, მისი დაშოუკიდებლობისა და იქ სახალხო დემოკრატიის დამყარებისათვის. პოლონელ ხალხს ბოლესლავ ბერუტი მიაჩნია თავის ბელადად და მასწავლებლად, რომელიც ხალხის უმაღლესი ინტერესებისათვის, ხალხის სათავეში მდგომი დღეს ახორციელებს საუკეთესო პოლონელ პატრიოტთა თაობების, პოლონელი ხალხის ყველაზე ბრწყინვალე და პროგრესული ადამიანების იდეალებსა და ოცნებას. დაე დღეგრძელდეს დღე, ამბობს კოვალსკი, გახდეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ბელადისა და ერთგული მესაჭის გარშემო პოლონელი ხალხის ფართო მასების უფრო მტკიცედ დარაზმვის დღე.

თავმჯდომარე კოვალსკი აცხადებს, რომ მიღებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშა, და მის გამოსაქვეყნებლად სიტყვას აძლევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ცირანკევიჩს.

ყველანი ფეხზე დგებიან და ისე ისმენენ ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მისალმებას, რომელიც მიმართულია პოლონელი ხალხის ხელმძღვანელის ბოლესლავ ბერუტისადმი, და მკუხარე ოვაციას აწყობენ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. გაისმის მძლავრი შეძახილები: სტალინი — ბერუტი!

შემდეგ ბერუტის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ედვარდ ოხაბმა.

ოხაბს სიტყვა მრავალგზის გაწყვეტინეს ტაშით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის — საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის, სახალხო პოლონეთის ხელმძღვანელის ბოლესლავ ბერუტის პატივსაცემად.

შემდეგ სიტყვა ეძღვნათ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, შეიარაღებული ძალების, მოსწავლეების დელეგაციებს.

შემდეგ ი. ცირანკევიჩი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ დეპეშას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია:

„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ ბოლესლავ **ბერუტს.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მებრძოლ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, პოლონეთის მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმის საქმისათვის ხოცად მებრძოლს.

გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში, რომლის მიზანია მოძმე პოლონეთის რესპუბლიკის შემდგომი აყვავება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

ყველანი ფეხზე დგებიან და აწყობენ მეუხარე ოვაციას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად.

შეკრებილნი მეუხარე ტაშით შეხვდნენ ჩინელი ხალხის ბელადისა და ხელმძღვანელის მაო ძე-დუნის მისასალმებელ დეპეშას. ცირანკევიჩი აცხადებს, რომ მისასალმებელი დეპეშები მიღებულია აგრეთვე კიმ ირ სენისაგან, ხო ში მინისაგან, კლ. გოტვალდისაგან, ვილჰელმ პიკისაგან, მატიას რაკოშისაგან, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ჰანოი პოლიტიკისაგან, ენვერ ხოჯასა და მაქს რაიმანისაგან.

მისალმების პასუხად ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ბოლესლავ ბერუტმა. ბერუტის სიტყვა, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის უდიდეს როლს პოლონელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლაში, შრომელთა ფართო მასებთან განუხრელ კავშირს, უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

ბერუტმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მთელ საქმიანობაში ნიმუში და მაგალითი იყო გმირი საკავშირო კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა, რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და ახლა კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს.

შეკრებილებმა მეუხარე ტაშით მიიღეს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი.

„ამხანაგ იოსებ სტალინს.

მოსკოვი. კრემლი.

ჩვენ, შეკრებილებმა საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა პრეზიდენტ ბოლესლავ ბერუტის დაბადების 60 წლისთავს, დიდი სიხარულითა და მადლობით მივიღეთ ჩვენი პრეზიდენტისა და ჩვენი პარტიის თავმჯდომარისათვის, ხოლო მისი სახით მთელი პოლონელი ხალხისათვის გამოგზავნილი თქვენი გულითადი მოლოცვა.

პოლონელმა ხალხმა, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, შეძლო დაებრუნებინა დამოუკიდებლობა და აეშენებინა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები ათეული წლების მანძილზე პოლონეთის მომავალს განიხილავდნენ რუსეთის რევოლუციასთან განუყრელი თანამშრომლობით, რევოლუციასთან, რომელსაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ, იმიტომ, რომ ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ქვეყანამ და დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებმა უაღრესად მძიმე განსაცდელის წლებში ძმური ხელი გაუწოდეს პოლონელ ხალხს.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, იყო და არის ახლა პოლონეთის მუშათა კლასისა და პოლონელი ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის დროშა.

თქვენი სახელი, თქვენი მოძღვრება და მაგალითი გზას უნათებდნენ ჩვენი ხალხის თავდადებულ მებრძოლებს, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია ჩვენი გაერთიანებული, დამოუკიდებელი, სახალხო პოლონეთის დიდ მშენებელსა და ხელმძღვანელს — ბოლესლავ ბერუტს.

დიდი სტალინის, მშვიდობის მედროშისა და პოლონელი ხალხის მეგობრის გულითადი სიტყვები ჩვენთვის იქნება პოლონელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის გაღრმავებისა და განმტკიცების სასარგებლოდ გაძლიერებული შრომის ახალი სტიმული. ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ბერუტის ხელმძღვანელობით მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ სოციალისტური პოლონეთის მშენებლობას და ხალხთა შორის მშვიდობის საქმეს“.

შეკრებილნი მეუხარე ოვაციას აწყობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად და ამხანაგ ბ. ბერუტის პატივსაცემად.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ისტორიის საგულისხმო გაკვეთილი

ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი ამ ნახევარი საუკუნის წინათ ამბობდა: „რას ვფიქრობ მე ჩვენი ცივილიზაციის შესახებ? იმას, რომ ის უბადრუკი და საცოდავია, სიმკაცრით, ამაოებით, თავხედობით, ნიჭადაბლითა და თვალთმაქცობით აღსავსეა. მე მძულს ეს სიტყვაც კი. მასში სიცრუეა“.

გენიალური სატირიკოსის ამ სიტყვებს ოდნავადაც არ დაუკარგავს დღევანდელი ამერიკისათვის ძალა. პირიქით, ეს დახასიათება ახლა უფრო შეეფერება ამერიკის ცივილიზაციას, ლიტერატურას, პრესას, რადიოს, ხელოვნებას. დოლარის სამეფოს მესვეურები, რომლებიც აშკარად ფაშიზმის გზას დაადგნენ, თავიანთი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად ცდილობენ შექმნან იდეოლოგიური რეზერვი, იბრძვიან ხელოვნების მუშაკთა მოსყიდვისათვის, იყენებენ ყველაფერს, რითაც კი შეიძლება ადამიანთა მოტყუება და სულიერი დასახიჩრება.

ამერიკელი ბურჟუაზიული მწერლები გაჰყვირიან, რომ მათი შემოქმედება პოლიტიკისაგან დამოუკიდებელია. სინამდვილეში ასე როდია. ადამიანურ სინდისს მოკლებული ბურჟუაზიული ესთეტები იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტები არიან. ისინი მონურად ასრულებენ მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებეთა შეკვეთას; მშრომელთა შეგნებას წამლავენ ადამიანზე უხეში ცილისწამების, უზნეობის, კოსმოპოლიტიზმის, კაცთმოძულების შხამით. ცხადია, მათს „ხელოვნებას“ საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ ხელოვნებასთან.

მსოფლიოში დღითიდღე იზრდებიან და მტკიცდებიან დემოკრატიული ძალები, თანდათან ძლიერდება ხალხთა მასების ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, გიგანტური ნაბიჯებით მიდიან წინ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ყველაფერი ეს იწვევს პროგრესული მწერლების რიგების განმტკიცებას, ხელოვნების იმ მუშაკთა შემოქმედებითი ენერგიის ზრდას, რომლებიც მგზნებარე სიტყვით და საქმით ეხმარებიან მშრომელებს ექსპლოატატორებთან ბრძოლაში, მხურვალედ უჭერენ მხარს მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, მამაცურად ილაშქრებენ მსოფლიო რეაქციის დასაყრდენის — ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ასეთ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის საბჭოთა მკითხველისათვის კარგად ცნობილი ამერიკელი მწერალი, ნიჭიერი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ჰოვარდ ფასტი, რომლის წიგნი „უკანასკნელი საზღვარი“ 1950 წელს დაიბეჭდა ქართულ ენაზე.

ახლახან „საბლიტგამმა“ გამოსცა ჰ. ფასტის მეორე შესანიშნავი რომანი „თავისუფლების გზა“, რომელსაც დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი ამხილებს ისტორიის ფალსიფიკატორებს, იმათ, ვინც აიდეალებს კაპიტალიზმის წარსულს, ამასთან წიგნი ააშკარავებს თანამედროვე ამერიკის იმპერიალიზმის შხამიან ფესვებს, მწვავე სიძულვილით აღავსებს მკითხველს ამერიკული რასობრივი თეორიის ავტორებისადმი.

როგორც ცნობილია, 1861 წელს ამერიკაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც 1865 წლამდე გაგრძელდა. ეს იყო შესანიშნავი ფურცელი ამერიკის ხალხის ისტორიაში. ჩრდილოეთი შტატები ებრძოდნენ სამხრეთი შტატების მონათმფლობელებს. სამხრეთში მაშინ 9 მილიონი მცხოვრებიდან 4 მილიონი მონა იყო. მარქსი და ენგელსი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ ომს. პროლეტარიატის დიდი ბელადები სამოქალაქო ომის მსვლელობის მთელ პერიოდში აღაფრთოვანებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მოითხოვდნენ, რომ ევროპის მუშათა კლასს მხარი დაეჭირა მათთვის.

სამართლიან ომში გაიმარჯვა ჩრდილოეთმა. ზანგები განთავისუფლდნენ მონობისაგან და ამერიკის მოქალაქეობის უფლება მოიპოვეს.

ომის წარმატებით დამთავრებამ გამოიწვია მუშათა მოძრაობის გაძლიერებაც. 1866 წელს შეერთებულ შტატებში შეიქმნა მუშათა ნაციონალური კავშირი, რომელიც პირველ ინტერნაციონალს მიემხრო. ომი დამთავრდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა განთავისუფლებული მონების სიხარული. მსხვილი ბურჟუაზიის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს პრეზიდენტი ლინკოლნი, რომელმაც მრავალი პროგრესულ-დემოკრატიული ღონისძიებანი განახორციელა.

მალე ბრძოლა გაჩაღდა ჩრდილოეთ შტატებში არსებული რესპუბლიკური პარტიის შიგნით. მსხვილი ბურჟუაზიის აგენტები მოითხოვდნენ სამხრეთელ პლანტატორებთან შერიგებას. სამხრეთის მონათმფლობელებმა, იგრძნეს რა მხარდაჭერა, კვლავ შემოიღეს „შავი კოდექსი“, რომლითაც ზანგებს ეკრძალებოდათ კრებების მოწყობა, მიწისმფლობელობა. სასტიკად ისჯებოდა ზანგისა და თეთრკანიანის შეუღლება. მონათმფლობელებს შეეძლოთ გაეჯიბრათ ზანგები. ეს ნიშნავდა მრავალი მილიონი ზანგის კვლავ დამონებას, მაგრამ რადიკალმა რესპუბლიკელებმა, რომლებიც კონგრესში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა სამხრეთელთა წინააღმდეგ. ბრძოლას მეთაურობდა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი — სტივენსი. რეაქცია ამჯერადაც დამარცხდა. ზანგები არა მარტო სამხრეთში იქნენ განთავისუფლებულნი, არამედ მთელ ამერიკაში. ყოფილი მონები ჩაებნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კაპიტალიზმის განვითარება თავისი გზით მიდიოდა. ჩრდილოეთის კაპიტალი შეიჭრა სამხრეთში და ზანგების სახით იაფი მუშახელი იპოვა. ზანგები ეკონომიურ მონობაში ჩავარდნენ. ჩრდილოეთის ბურჟუაზიისაგან გათამამებულმა პლანტატორებმა გაძლიერეს მხეცური ტეროორი ზანგების წინააღმდეგ. მალე პრეზიდენტმა ჰეისმა ჩრდილოეთის შტატების ჯარები გამოიწვია სამხრეთიდან. ამან ხელფეხი გაუხსნა მონათმფლობელებს. დაიწყო ზანგების განადგურების სისხლიანი ამბავი.

სწორედ ამ პერიოდს ასახავს ჰოვარდ ფასტის წიგნი „თავისუფლების გზა“. რომანის მთავარი გმირი გიდეონ ჯეკსონი ორასი ათას სხვა ზანგთან ერთად მამაცურად იბრძოდა ჩრდილოეთის ჯარებში. მან, ისევე როგორც ყველა ზანგმა, მონობის სამანელი გზა გაიარა. განთავისუფლების შემდეგ უდიდესი ენერგიით შეუდგა გათვითცნობიერებას და მოკლე ხანში თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე გახდა. დემოკრატიული იდეებით გატაცებულ გიდეონს ერთნაირად სურდა როგორც შავკანიანების, ისე თეთრკანიანების ბედნიერება. ამ მიზნისათვის იგი არ ზოგავდა ნიჭსა და ენერგიას. როგორც კონვენტის წევრი, მამაცურად იღვწოდა დემოკრატიულ უფლებათა შენარჩუნებისათვის. უთანასწორო ბრძოლაში გიდეონი დამარცხდა. ბურჟუაზიამ გაყიდა ხალხის სისხლით შეძ

საერთაშორისო მიმოხილვა

მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის

„სწორედ ამჟამად წყდება საკითხი, აღდგენილ იქნება გერმანია, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც შეავ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში, თუ ძალაში დარჩება გერმანიის გათიშვა და ამასთან დაკავშირებული საფრთხე ომისა ევროპაში“, — ასე დაახასიათა საბჭოთა მთავრობამ მდგომარეობა თაებს 1952 წლის 9 აპრილის ნოტაში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

საბჭოთა ნოტა დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი კვლავ მოწმობს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება და რომელიც შეეფერება გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნებს. ამაზე მეტყველებენ ნოტის ძირითადი დებულებანი: ერთად შეკუდგეთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვას. საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ საჭიროა გერმანიის უშუალო მონაწილეობა (სრულიად გერმანიის მთავრობის სახით) საზავო ხელშეკრულების მომზადებაში. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთისათვის გაგზავნილ ნოტაში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ერთხელ კიდევ მოითხოვა სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხის გადაუდებელი განხილვა.

სსრ კავშირის წინადადებებმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და უწინარეს ყოვლისა თვით გერმანიაში. „გერმანელი ხალხის მოძრაობა თავისი სამშობლოს ერთიანობისათვის, — წერდა უნგრული გაზეთი „საბად ნეპი“, — არა მარტო უფრო ძლიერი გახდა, არამედ იგი გავრცელდა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ისეთ წრეებში, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ანტისაბჭოთა პოლიტიკის გავლენაში იმყოფებოდნენ“.

დასავლეთის სახელმწიფოებს, როგორც მათი 25 მარტის საპასუხო ნოტებიდან ჩანს, არ გაუცხადებიათ თანხმობა შესდგომოდნენ საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტის განხილვას და არ წარმოუდგენიათ საზავო ხელშეკრულების თავიანთი პროექტები. მათ მხოლოდ გამოთქვეს მთელი რიგი საწინააღმდეგო აზრები საბჭოთა პროექტის ცალეულ პუნქტების შესახებ. მაგალითად, ამ ქვეყნების მთავრობები წინადადებას იძლევიან, რომ გერმანიის გამოკვლევა მოახდინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დანიშნულმა კომისიამ, რათა შემოწმდეს, არის თუ არა პირობები სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი არ ეთანხმება ასეთ ღონისძიებას. რადგან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლის თანახმად, გამორიცხულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა გერმანიის საქმეში. როგორც მთავრობებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დამტკიცებისას გადაწყვიტეს, გერმანიასთან საზავო მოწესრიგების ყველა საკითხი მთლიანად შედის იმ ოთხი დიდი სახელმწიფოს ერთობლივ კომპეტენციაში, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე ოკუპაციის ფუნქციებს ახორციელებენ. ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კომისიის საქმიანობის შესახებ ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მიდლტონი ბონიდან გაგზავნილ ცნობაში აღნიშნავს, რომ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობა ოთხი მაოკუპირებელი სახელმწიფოს კონტროლით, როგორც საბჭოთა კავშირის ახალი ნოტა მოითხოვს, „სასურველია“ გერმანელი ხალხისათვის და „პოტენციურად საშიში მომენტია“ დასავლეთის სახელმწიფოებისათვის.

დასავლეთის სახელმწიფოებმა გაილაშქრეს აგრეთვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტის იმ პუნქტის წინააღმდეგ, სადაც ლაპარაკია მის ვალდებულებაზე არ შეავიდეს რომელიმე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ რაიმე კოალიციასა თუ სამხედრო კავშირში, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობას იღებდა გერმანიის წინააღმდეგ ომში.

მსოფლიოს საზოგადოებრიობა ერკვევა იმაში, რომ საბჭოთა წინადადების განხილველების შედეგი იქნება გერმანიის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობა.

როგორც სამართლიანად აღნიშნავდა გერმანული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“, „მდგომარეობა მშვიდობის ძალებისა და ომის ძალების მსოფლიო ბრძოლაში სწორედ იმით ხასიათდება, რომ ამჟამად, განსაკუთრებით ამ ბრძოლის მთავარ ცენტრში — გერმანიაში, მშვიდობის ძალები ავანგარდში დგანან და რომ, როგორც ამაზე ლაპარაკია სტალინის ინტერვიუში (იგულისხმება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფისადმი. — მ. ა.), ახლანდელი მომენტი შესაფერისია გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის“.

დავიცვათ ბავშვები!

დავიცვათ კაცობრიობის მომავალი—ბავშვები! ამ აზრით, რომელიც მახლობელია ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის, გამსჭვალული იყო ყველა მოხსენება და სიტყვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 12-16 აპრილს მიმდინარეობდა ვენაში. კონფერენციის მონაწილეებმა—61 ქვეყნის წარმომადგენლებმა: დედებმა და მეცნიერებმა, პედაგოგებმა და მწერლებმა, ექიმებმა, იურისტებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც მილიონობით ადამიანის ნებას გამოხატავდნენ, აღიმაღლეს ხმა ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან მოზარდი თაობის დასაცავად.

ოფიციალურმა დოკუმენტებმა და დელეგატების გამოსვლებმა გადაგვიშალა კაპიტალის ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობის მეტად მძიმე სურათი. იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკის შედეგად მშრომელთა მილიონობით ბავშვის ხვედრი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში შიმშილი, სიღატაკე და ულმობელი ექსპლოატაციაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს არასრული ცნობებით, კაპიტალისტურ ქვეყნებში 80 მილიონზე მეტი ბავშვი ღატაკურად ცხოვრობს. იაპონელი მშრომელები, რომლებიც მიყვანილი არიან სასოწარკვეთილებამდე, იძულებული არიან მონებად გაყიდონ შვილები. იაპონიის დელეგატი ქალი ტაკაკო მაცუმოტო კონფერენციაზე ამბობდა, რომ შარშან მის ქვეყანაში მონებად გაიყიდა 300 ათასი ბავშვი.

ირაწში ბავშვთა 85 პროცენტი ისე იზოცება, რომ 15 წლის ასაკამდეც კი ვერ აღწევს. ამ ქვეყნის ბავშვთა მხოლოდ 10 პროცენტი დადის სკოლაში, ხოლო დანარჩენი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, მუშაობს ფაბრიკებში ან დაწიწალობს ქუჩებში და ეძებს საჭმლის ნარჩენებს.

სიღატაკისა და უუფლებობის საშინელი სურათი დაგვიხატა თაეის გამოსვლაში სუდანის დელეგატმა ქალმა ფატმე მაჰმუტმა. ბავშვთა სამი მეოთხედი ნაწილი დაავადებულია ტუბერკულოზით, მალარიითა და სხვა სენით. მოსახლეობის 98 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცის. ყოველივე ეს, განაცხადა მაჰმუტმა, სუდანში იმპერიალისტური თარეშის შედეგია.

თურქეთის ოფიციალური ორგანოების აღიარებით, გასულ წელს თურქეთში რვაასი ათასი ახალდაბადებულიდან დაიხოცა ოთხასი ათასი. ფრანკისტულ ესპანეთში ბავშვთა 75 პროცენტზე მეტი დაავადებულია ტუბერკულოზით. ურუგვაის სოფლის მესწავლეული ხულიო კასტრო ასე ასწერს თავისი ქვეყნის მშრომელთა შვილების ცხოვრებას: „ისინი ცხოვრობენ თიხისა და ჩალისაგან აგებულ უბადრუკ ქოხებში, სადაც ისეთი ჭუჭყი, სივიწროვე და მოუვლელობაა, რომ მათი აწერაც კი შეუძლებელია... ეს ბავშვები განწირულნი არიან ისეთი ცხოვრებისათვის, რომელსაც არ შეიძლება ცხოვრება ეწოდოს“.

აუტანელი საბინაო პირობებია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. აფრიკაში არსებობენ ეგრეთწოდებული „მღვიძე-ქალაქები“, რომლებიც წარმოადგენენ მყარალ უბნებს, სადაც კლდეების ღრმულებსა და კედლების ნამსხვრევებს თავს აფარებენ მთელი ოჯახები.

ბევრად უკეთესი სურათი როდია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო ასაკის 4 მილიონი ბავშვი არავითარ განათლებას არ იღებს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში არ სწავლობს სასკოლო ასაკის 19 მილიონი ბავშვი. განათლებას მოკლებულია ორი მილიონი იტალიელი ბავშვი.

მწერალმა ქალმა ელი აღექსიუმ უამბო კონფერენციას ბერძენ ბავშვთა საშინელ ბედზე. ბერძენ დემოკრატთა 15 ათასი ბავშვი ნელი სიკვდილით იხოცება საპყრობილეებში. ეს ბავშვები ბერძენ ხელისუფალთა მიერ ცნობილი არიან „არსებული რეჟიმისათვის საშიშ“ ბავშვებად. ისინი მხეცური წამებას განიცდიან.

„ასეულ ათასობით კორეელი ბავშვი ამერიკელ ინტერვენტთა მსხვერპლი გახდა. ამჟამად ამერიკელი აგრესორები ახალ საშინელ ბორტიმოქმედებას სჩადიან — ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. ეს ავადმყოფი ბავშვების მოსაპობის მიზნით ჰყრიან ქალაქებსა და სოფლებში მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასენიანებულ სათამაშოებს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციამ ცხადყო მშვიდობისმოყვარე ხალხთა გადაწყვეტილება — ჩაშალონ ომის გაჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები, დაიცვან მოზარდი თაობის სიცოცხლე. მან ერთხმად მიიღო „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის მიმართვა მთელი მსოფლიოს მამაკაცებისა და ქალებისადმი“ და რეზოლუციები ბავშვთა განათლების, მათი ჯანმრთელობის დაცვის, ბავშვთა მორალურ და კულტურულ განვითარებაზე ლიტერატურის, პრესის, რადიოს, კინოსა და ხელოვნების გავლენის შესახებ.

კონფერენციის მიმართვაში ნათქვამია: „მოგვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე, გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოთ მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის ცხოვრების, ჯანმრთელობის, ინტელექტუალური და მორალური განვითარების უფლება...

მოვითხოვოთ, რომ ბიუჯეტების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდეს არა შეიარაღებაზე, არამედ სოციალურ და კულტურულ საჭიროებებზე, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეზე.

ვამბილოთ და საქვეყნოდ დავგმოთ რასიზმის, ძალმომრეობისა და ომის პროპაგანდა, რასაც ეწევიან სკოლებში, საბავშვო ლიტერატურაში, ფილმებსა და რადიოგადაცემებში.

ჩვენი შვილების ხსნისათვის გამოვიყენოთ მთელი ჩვენი ძალღონე, რათა აღიდგინოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა ხალხთა შორის!“.

ბავშვთა ბედნიერებისა და მომავლისათვის ბრძოლაში პროგრესულ კაცობრიობას აღიფრთოვანებს დადი მაგალითი საბჭოთა კავშირისა — იმ ქვეყნისა, სადაც ახალგაზრდა თაობა გარემოსილია საყოველთაო-სახალხო სიყვარულითა და ზრუნვით, სადაც ბავშვები იზრდებიან სამშობლოსადმი სიყვარულის, ხალხთა მეგობრობისა და თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით.

მ. აფონინი

მასობრივი დემონსტრაციები ეგვიპეტში

გეირუთი, 18 აპრილი. (საკდესი). ლიბანის გაზეთი „აშ-შარკი“ იუწყება, რომ „ვაფდის პარტიის მანიფესტს, რომელიც გმობს ჰილალი-ფაშას მთავრობის პოლიტიკას, ეგვიპტელი ხალხი დიდი ყურადღებით შეხვდა. მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ეგვიპტის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენიც აღფოთებას გამოთქვამდნენ არჩევნების გადადებისა და ჰილალი-ფაშას მთავრობის მიერ კონსტიტუციის დარღვევის გამო. დემონსტრანტები წარმოთქვამდნენ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიპართულ ლოზუნგებს.

ინგლისში გაიმარჯვეს გაფიცულმა მანქანათმშენებელმა მუშებმა

ლონდონი, 18 აპრილი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გაიმარჯვეს ახალგაზრდა მანქანათმშენებელმა მუშებმა, რომლებიც ხელფასის მომატებისათვის იბრძოდნენ.

ახალგაზრდა მანქანათმშენებელმა მუშებმა ამასწინათ გაფიცეა გამოაცხადეს და მეწარმეები აიძულეს დაედოთ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს 28 აპრილიდან ხელფასის მომატებას. ხელფასი გაუდიდდება 100 ათას ახალგაზრდა მუშას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 აპრილს გამოაცხადა:

კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები წინანდელ ზღუდეებზე ეწეოდნენ დაზვერვით ბრძოლებს და საარტილერიო სროლას.

ჩვენი ჯარების საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ფრონტებზე და ზურგში ჩამოაგდეს მტრის 8 ავიაგამანადგურებელი.

ჩვენი ჯარების სანაპირო დაცვის ნაწილებმა ჩაძირეს მტრის № 534 საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც მშვიდობიან დასახლებულ რაიონებს უშენდა.

საყოველთაო გაფიცვა იაპონიაში

ტოკიო, 18 აპრილი. (საკდესი). დღეს იაპონიაში დაიწყო საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა „ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილების შესახებ“, რეაქციული კანონპროექტის წინააღმდეგ.

გაფიცვაში მონაწილეობს იაპონიის 12 უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება, რომლებიც მილიონზე მეტი წევრი შედის, მათ შორის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ეროვნული ფედერაცია, სამთამადნო მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ეროვნული ფედერაცია, საავტომობილო მრეწველობის მუშათა სრულიად იაპონიის პროფკავშირი, ელექტრომრეწველობის მუშათა ეროვნული კავშირი, მეზღვაურთა სრულიად იაპონიის პროფკავშირი და სხვები.

გაფიცვაში მონაწილეობს აგრეთვე კერძო რკინიგზების კომპანიების 100 ათასამდე მუშა.

მთავრობისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების და საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების სრულიად იაპონიის საბჭო, აგრეთვე სხვა პროფკავშირები, რომლებიც 2.400 ათასამდე კაცს აერთიანებენ, მხარს უჭერენ გაფიცვას. მთელ იაპონიაში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები.

ტოკიო, 18 აპრილი. (საკდესი). დღევანდელი გაფიცვა იაპონიის მუშათა კლასის აშკარა პროტესტია იოსიდას მთავრობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. გაფიცვა მოედო დიდ სამრეწველო საწარმოთა მეტ ნაწილს, მთელ რიგ პუნქტებში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება; საგარეუბნო სამგზავრო მიმოსვლა დიდ ქალაქებში მნიშვნელოვნად პარალიზებული იყო; ნავსადგურებში გაიფიცნენ 367 გემის ეკიპაჟები.

ტოკიოში უმაღლეს სასწავლებელთა 500-ზე მეტმა სტუდენტმა დემონსტრაცია მოაწყო გაფიცულ მუშათა მხარდასაჭერად. იაპონიის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა სტუდენტთა გაფიცვები და საპროტესტო მიტინგები ეგრეთწოდებული „ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილების შესახებ“ რეაქციული კანონპროექტის წინააღმდეგ.

საბჭოთა მსახიობების კონცერტი ოსლოში

ოსლო, 18 აპრილი. (საკდესი). გუშინ ოსლოს ცენტრალურ თეატრში გაიმართა საბჭოთა კავშირის იმ მსახიობთა ჯგუფის დიდი კონცერტი, რომლებიც ჩამოვიდნენ ნორვეგიაში ნორვეგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კვირეულში მონაწილეობისათვის.

კონცერტს დაესწრნენ: მეფე ჰოკონი, კრონპრინცი ოლაფი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი. კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ნორვეგიაში ს. ა. აფანასიევი და ოსლოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ბალეტის სოლისტებმა რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ტიხომირნოვამ, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ა. მესერერმა, უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ე. ჩავდარმა და რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა პიანისტმა ნ. ემელიანოვამ.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო **კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდია** 21 აპრილს უჩვენებს **ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საპირველმაისო მოწოდება მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი

ვენა, 18 აპრილი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ძმურ სალამს გიძღვნით.

პირველი მაისის დღე მშრომელთა ერთიანობისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა გაერთიანების საერთაშორისო დღეა.

საპირველმაისო დემონსტრაციები ყოველ ქვეყანაში გადაჭიეთ მშრომელი მასების ნების მძლავრ დემონსტრაციად.

უფრო მჭიდროდ დარაზმეთ თქვენი რიგები, გაერთიანდით იმისათვის, რომ უფრო მტკიცედ გამოთქვათ ეს ნება.

მთელი მსოფლიოს მშრომელებს ერთი საერთო მისწრაფება აქვთ.

მათ სურთ:

თავიანთი ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობა;

მშვიდობა და მისი ორგანიზაცია სამართლიან და მტკიცე საწყისებზე;

დაუყოვნებლივ აკრძალვა ბაქტერიოლოგიური იარაღისა, რომელსაც ამერიკის შეიარაღებული ძალები კორეასა და ჩინეთში ხმარობენ;

ამ საზარელი ბოროტმოქმედებისათვის პასუხისმგებელი სამხედრო დამნაშავეების დაუყოვნებლივ დასჯა.

მთელი მსოფლიოს მშრომელები მტკიცედ იბრძვიან კოლონიური რეჟიმისა და ყოველგვარი ჩაგვრის — კოლონიური სისტემის საფუძვლის წინააღმდეგ.

მათ სურთ ყველა მშრომელთა ურთიერთდახმარება და თანხმობა და ერთიანობა მსოფლიოს ყველა პროფკავშირთან.

ისინი იბრძვიან სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემების ეროვნებათა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

კაპიტალისტური, ნახევრადკოლონიური და კოლონიური ქვეყნების მშრომელები აძლიერებენ ბრძოლას, რომელთც მიმართულია საერთო მიზნის განხორციელებისაკენ.

ისინი იბრძვიან:

თავიანთი საარსებო ეკონომიური მოთხოვნებისა და თავიანთი სასიცოცხლო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის;

აძლიერებენ იმპერიალისტებისა და მონოპოლისტების მიერ მათი ქვეყნებისათვის თავსმოხვეული სამხედრო მზადების შედეგების წინააღმდეგ;

თავიანთი დემოკრატიული და პროფკავშირული უფლებების დაცვისათვის.

ისინი იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის.

ყველა ამ ქვეყანაში მშრომელები პროფკავშირის ბრძოლისაგან მოელიან მუდმივ დახმარებას თავიანთ ბრძოლაში სიღატაკისა და სოციალური უუფლებობის წინააღმდეგ, რომლებთანაც ისინი იტანჯებიან.

სსრ კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშრომელები თავდადებული შრომით ხელს უწყობენ თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ და სოციალურ აღმავლობას.

ის შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც ამ ხალხებმა — თავიანთი ბედის პატრონებმა — მოიპოვეს, უდიდესი წვლილია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. სოციალური და კულტურული პროგრესის საქმეში მათი მუდმივი წარმატებანი აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელებო! განამტკიცეთ და გაიფართოეთ ერთიანობა თქვენი ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების განხორციელებისათვის ბრძოლაში, თქვენი პროფკავშირული უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში!

ამხილეთ და განიშორეთ გამოთიშველები ყველგან, სადაც უნდა იყოს!

მამაცურად იმოქმედეთ მშვიდობის დასაცავად, რომელიც საფრთხეშია!

მოითხოვეთ სამხედრო დამნაშავეთა დასჯა!

განამტკიცეთ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა, მუშათა კლასის ეროვნული და საერთაშორისო ერთიანობა!

გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას!

გაუმარჯოს პირველ მაისს!“

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს სესია

ვენა, 18 აპრილი. (საკდესი). დღეს დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს სესიაზე მოხსენება „დემოკრატიულ უფლებათა დაცვა“ გააკეთა უნგრელ იურისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა კოვაჩმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს კაპიტალიზმის ქვეყნებში სულ უფრო ხშირად და უხეშად ირღვევა ძირითადი დემოკრატიული უფლებანი.

მომხსენებელმა მთელი რიგი მაგალითებით ცხადყო ადამიანის უფლებათა დარღვევა საბერძნეთში, ესპანეთში, იუგოსლავიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. თვითნებობისა და ელემენტარულ სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძენი მებრძოლის ნიკოს ბელოიანისის პროცესი და მოკვლა.

მოხსენება „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და მისი დასაბუთება საერთაშორისო სამართალში“ გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰილდა ბენიამინმა.

აღნიშნა რა, რომ ომის დამთავრების შემდეგ შვიდი წელიწადი გავიდა და რომ ისტორიაში პირველად დიდი ხალხი ასე დიდხანს რჩება საზავო ხელშეკრულების დაუდებლად, ბენიამინმა თქვა, რომ ასეთი მდგომარეობა დიდ საფრთხეს შეიცავს გერმანელი ხალხისა და მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირმა 1952 წლის 10 მარტის ნოტით დასავლეთი სახელმწიფოებისადმი და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტით, რაც დართული აქვს ამ ნოტას, ინიციატივა იკისრა გერმანიის სამართლიანი და დემოკრატიული სამშვიდობო ხელშეკრულების უფლების განხორციელების საქმეში. ნოტა და მასთან დართული პროექტი ასახავენ საბჭოთა კავშირის იმ პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ერთიანი, დემოკრატიული, სამშვიდობოს, ეკონომიურად ძლიერ, ეროვნულ-სუვერენულ გერმანიის შექმნას.

ბენიამინმა თავისი მოხსენების დასასრულს ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელი ხალხის ბრძოლა სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადების უფლებისათვის გერმანელი ხალხის გადამწყვეტი წვლილია ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ბენიამინის მოხსენების გამო კამათში გამოსულმა პოლონელ იურისტთა წარმომადგენელმა მუშკამ აღნიშნა, რომ გერმანიის პრობლემა ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები გერმანიაში ახორციელებენ გათიშვის, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის, სამხედრო მრეწველობისა და არმიის აღდგენის პოლიტიკას, მუშკამ განაცხადა, რომ ასეთი პოლიტიკა დანაშაულობაა მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ. პირიქით, საზავო ხელშეკრულების დადების მოთხოვნა, პოლიტიკა, რომლის მიზანია ამ მოთხოვნის განხორციელება, შეესაბამება ყოველ მარტო გერმანელი ხალხის მისწრაფებას თავისი ქვეყნის ერთიანობისადმი, არამედ დედამიწის ყველა ხალხის მისწრაფებასაც მშვიდობისადმი.

სუსლოვის მონაწილეებმა უდიდესი აღფოთებით შეიტყეს, რომ ავსტრიის მთავრობამ ამერიკელთა მოთხოვნით თანამდებობიდან გადაყენა გრაციის უნივერსიტეტის პროფესორი, მშვიდობისათვის უაღრესად თვალსაჩინო მებრძოლი, ამერიკელთა მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამომკვლევი დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის თავმჯდომარე ბრანდვაინერი. დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ნორმანმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ბრანდვაინერის დათხოვნა არღვევს ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებს.

თბილისის ქალაქად მაყურებელთა რუსული თეატრის 25 წლისთავი

18 აპრილს თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის შენობაში გაიმართა ამავე თეატრის არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის 25 წლისთავის შესახებ გააკეთა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. მარშაკმა.

სადამოზე სიტყვები წარმოთქვეს და თეატრის კოლექტივს შემდგომი წარმატება უსურვეს თბილისის სკოლების პედაგოგებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა, თეატრის მსახიობებმა.

საღამოს დასასრულს წარმოდგენილ იქნა სცენები თეატრის საუკეთესო დადგმებიდან.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

სამშაბათს, 22 აპრილს, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ დისპუტს ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმის „ტრემბიტას“ შესახებ. სპექტაკლის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. ანდრონიკაშვილი.

დისპუტი გაიმართება ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 6, საღამოს 8 საათზე.

ლეონარდო და ვინჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

სამშაბათს, 22 აპრილს, საღამოს 8 საათზე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება (ოლოლოდარსკის ქ. № 3) მართავს დიდი იტალიელი მხატვრისა და მეცნიერის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფესორი შ. ამირანაშვილი — ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება და შემოქმედება; პროფესორი ლ. გოგიელი — ლეონარდო და ვინჩი — მეცნიერი; დოცენტი ი. ურუშაძე — ლეონარდო და ვინჩის ესთეტიკური შეხედულებანი.

დარბაზში მოეწყობა ლეონარდო და ვინჩის სურათების რეპროდუქციების გამოფენა.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — გადამწყვეტია ადამიანები, კადრები, გადამწყვეტია შესრულების შემოწმება.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბოლესლავ ბერუტისადმი.

ამხანაგ ნ. შვერნიკის მისასალმებელი დეპეშა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ბერუტისადმი.

საერთო სათაურით „პირველი მაისის დღესასწაულის შესახვედრად“ წერილები: შეჯიბრება დონბასელ მეშახტეებთან. თესვა თბილისის ოლქში. ფოთი-ყდანოები.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მეორე გვერდი — ჩვენი მძლავრი სამშობლო. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ცნობები ფაბრიკა-ქარხნებიდან.

ი. კულუხოვი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 30 წლისთავი.

კინოსურათ „მწვერვალთა დამპყრობნის“ განხილვა.

პატარა ფელეტონი — ლ. ლაღიძე — „უბრალო ფორმალურობა“.

მესამე გვერდი — პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბოლესლავ ბერუტის 60 წლისთავი.

აღმოსავლეთის ქვეყნებში — ტ. რამიშვილი — გომინდანელები ბირმაში.

ლ. მუმლაძე — ღრმაღელე — ავჭალა.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სადღეისო თემაზე. ნატურალისტის ჩანაწერი.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

21 აპრილს

06.25 — საბალეტო მუსიკის კონცერტი; 07.30—ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები; 11.00 — საუბარი; 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.30 — თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდების შეჯიბრების მეორე ნახევრის ტრანსლაცია